საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში

“პარტიზანი” _ “დინამო” _ 2:1

მაყურებლებმა ჯერ კიდევ შუადღიდან იწყეს სტადიონისაკენ სვლა. თამაშის დაწყებამდე ორი საათით ადრე ტრიბუნები უკვე სავსე იყო, სტადიონის საზეიმოდაა მორთული. ტილოებს ამშვენებს წარწერა სერბულ, რუსულ და ქართულ ენებზე: `სალამი იუგოსლავიელ ფიზკულტურელებს!” ფრიალებს სსრ კავშირის და იუგოსლავიის სახელმწიფო დროშები.

5 საათი და 55 წუთია. მოედანზე გამოდის სახელმიწფო მსაჯი ამხ. ნ.ლატიშევი ორი თანაშემწით. სტვენის ხმა და გამოჩნდნენ სტუმრები _ იუგოსლავიელი ფეხბურთელები. ისინი დადგნენ მოედნის ცენტრში, ორჯერ წარმოთქვეს „სალამი” და ბოლოს ტრიბუნებისაკენ გაეშურნენ.

... ისინი მაყურებლებით გაჭედილ პარტერებში ყვავილებს ფანტავენ. ეს უბრალო, მაგრამ მეტად გულთბილი და გრძნობით აღსავსე მისალმებაა. მასში ჩაქსოვილია ის უღრმესი პატივისცემა და მადლობა, რასაც იუგოლსავიის ხალხი განიცდის თავისი განმათავისუფლებლის _ სსრ კავშირის მიმართ. დიდ სამამულო ომში გამოიჭედა ჩვენი და იუგოსლავიის ხალხების მტკიცე მეგობრობა. ამიტომ იყო, რომ მაყურებლებმა სტუმრების გამოსვლას და მათ მისალმებას მხურვალე ტაშით უპასუხეს.

დიდი თაიგულებით ხელში თბილისის დინამოელებიც გამოვიდნენ.

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ ორკესტრმა შეასრულა იუგოსლავიის და საბჭოთა საქართველოს ეროვნული ჰიმნები.

ჩვეულებრივად, ასეთ საპასუხისმგებლო მატჩებში „მოწინააღმდეგენი” აწარმოებენ ერთმანეთის ხანგრძლივ დაზვერვას. სუსტი ადგილის გამონახვას. ეს თამაში კი მძაფრი იერიშებით დაიწყო, აი, მეკარე იოსელიანი იუგოსლავიის თავდამსხმელ ბობეკს ფეხებში ჩაუვარდა და ბურთი ააცალა, ხოლო გარღვევაზე გადასულ პაიჭაძეს საჯარიმო მოედანზე დაეწივნენ და სახიფათო მომენტი აიცდინეს.

მაინც ცხადი იყო, რომ ასეთი ტემპიანი თამაში დიდხანს უშედეგოდ არ დარჩებოდა.

25-ე წუთზე პაიჭაძემ შორიდან წაიღო ბურთი, მოატყუა დამცველები, მაგრამ საჯარიმო მოედანზე იგი წააქციეს. 11 მეტრიანი დარტყმა. ყველას ყურადღება მ. ბერძენიშვილისადმი იყო მიპყრობილი. იგი ბურთს დინჯად მიუახლოვდა, გაასწორა. მეკარე გლაზერი `ფერწასული” ელოდა დარტყმას. სასტვენის ხმა. მიწაზე გაწოლილ გლაზერს ბურთმა მეორე მხარეს ჩაუარა. `პენალტის” ოსტატმა მეკარე ამჯერადაც მოატყუა, 1:0.

სტუმრები შეტევაზე გადავიდნენ და ხუთ წუთსაც არ გაევლო, რომ მარჯვენა შუამარბმა მიტიჩმა ანგარიში გაქვითა.

თამაში 52-ე წუთზე მარჯვენა გარემარბმა რუპნიკმა თბილისელთა ბადეში მეორე ბურთი გაახვია. თბილისელებმა ხელიდან გაუშვეს ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა. თამაში დამთავრდა იუგოსლავიელთა გამარჯვებით _ ანგარიშით 2:1.

რა გვიჩვენა ამ მატჩმა? სტუმრები შეწყობილად, ტემპიანად თამაშობდნენ, ოსტატურად ურტყამდნენ თავით. აღსანიშნავია აგრეთვე დამცველთა და თავდამსხმელთა კარგი ურთიერთდახმარება, შესანიშნავი ფიზიკური გამძლეობა.

თბილისელთა მხრიდან სუსტი იყო დაცვა, პეხლევანიდი, სალდაძე და სარჯველაძე ბურთს ზედიზედ აუტში გზავნიდნენ. მათი დახმარების გარეშე თავდასხმა მოწყვეტილი თამაშობდა და მან ვერაფერი გააწყო, ასევე ითქმის ბერეჟნოიზე და პანიუკოვზე. გარემარბად ღოღობერიძის გადაყვანა არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. ამჯერად იგი დაცვას არ ეხმარებოდა, ხოლო აქ თავს ვერ იჩენდა, თამაშის სული და გული იყო ბ. პაიჭაძე, რომელმაც სტუმრების კართან მრავალი სახიფათო მომენტი შექმნა. კარგი იყო გ. ჯეჯელავაც.

თამაშის სტუმრებმა დამსახურებულად მოიგეს.

დ. მელუხა,
დ. ხომერიკი
ლელო 13.08.46